სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

31536119196025

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მიღებული განცხადების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N250329550

რეგისტრაციის თარიღი

21.03.2025 წ

ნოტარიუსი: ეკატერინე მარშანია
მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 47
ტელეფონი: 5(74) 44 45 49; ელ.ფოსტა: emarshania@notary.ge

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

ორიათას ოცდახუთი წლის ოცდაერთ მარტს მე, ნოტარიუსს ეკატერინე მარშანიას, საქართველოში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 47-ში, პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით დამიკავშირდა – ლაშა ხარშილაძე, რომელმაც განაცხადა, რომ ამჟამად იმყოფება ქალაქ ბარსელონაში და მოითხოვა ნოტარიუსის წინაშე ონლაინ რეჟიმში თანხმობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება.

მე დავადგინე სანოტარო მოქმედების მონაწილეების პირადობა სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ელექტრონული მონაცემთა ბაზის მეშვეობით, ასევე მოწმეების მიერ წარმოდგენილი ლაშა ხარშილაძის პირადობის დამადასტურებელი მოწმობით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად ლაშა ხარშილაძე (დაბ.02.05.1986წ. თბილისში, პ/ნ 01007015475, პ/მ 22IB75659) დამიკავშირდა ონლაინ რეჟიმში.

სანოტარო მოქმედების შესრულებას ლაშა ხარშილაძის ნების შესაბამისად ესწრებოდნენ მის მიერ შემოთავაზებული: გია ცაავა (დაბ.07.07.1965წ. სენკაში, პ/ნ 01005007281), როგორც დოკუმენტის მიმღები პირი და ხელის მომწერი ირმა კარტოზია (დაბ.21.09.1973წ. სენკაში, პ/ნ 01027008013), როგორც მოწმე.

მე, ნოტარიუს ეკატერინე მარშანიამ სანოტარო მოქმედების ყველა მონაწილე (მოწმის ჩათვლით) გავაფრთხილე მოწმეობის გამომრიცხავი გარემოებების შესახებ, მხარემ და მოწმემ დაადასტურეს მოწმეობის გამომრიცხავი გარემოებების არარსებობის შესახებ.

ვადასტურებ, რომ სანოტარო მოქმედების მონაწილის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გამაჩნია. მე, ნოტარიუსმა სანოტარო მოქმედების მონაწილეს განვუმარტე სანოტარო მოქმედების შინაარსი და მისი შესრულების სამართლებრივი შედეგი, რის შემდგომაც განმცხადებელმა დოკუმენტზე ხელმომწერისა და მოწმის თანდასწრებით მიკარნახა შემდეგი შინაარსის თანხმობა

პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მიღებული განცხადების დადასტურება

მე, ლაშა ხარშილაძე (პ/ნ 01007015475) ვაცხადებ თანხმობას, რომ განხორციელდეს ჩემს საკუთრებაში არსებული კომერციული ფართი N1-ის ს/კ N 01.14.02.025.251.01.02.001 სამ ნაწილად გაყოფა შემდეგ ფართებად: კომერციული ფართი N1ა- 54,3 კვ.მ.; კომერციული ფართი N1ბ- 78,6 კვ.მ. და კომერციული ფართი N1გ- 117,2კვ.მ. განცხადებაში NAR11079942 წარმოდგენილი გეგმარების შესაბამისად. ასევე ვაცხადებ თნხმობას კომპანიამ - შპს „ბი.აი.ჯი.“-მ (ს.ნ:401983396) ჩემი დამატებითი თანხმობის გარეშე განახორციელოს კორექტირებული განშლის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში.

წინამდებარე თანხმობის ტექსტი ჩავიწერე მე, ნოტარიუსმა ეკატერინე მარშანიამ, რომელმაც პირდაპირი კომუნიკაციის რეჟიმში წავუკითხე განმცხადებელს. მან დამიდასტურა, რომ თანხმობის ტექსტი სრულად შეესაბამება მის ნებას და რომ ის არ იმყოფება რაიმე სახის ფიზიკური, ფსიქიკური ან რაიმე სხვა სახის ზეწოლის ქვეშ და რომ მის ნაცვლად თანხმობის ტექსტზე ხელის მოწერის უფლებას ანდობს გია ცაავას.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური ,,სანოტარო მოქმედებათა შესრულებისთვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის დადგენილება № 507-ისა (29.11.2012 წ.) და ამ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 მაისის დადგენილება № 272-ის 32-ე მუხლის საფუძველზე - 60 (სამოცი) ლარი, 39-ე მუხლის საფუძველზე 5 (ხუთი) ლარი და საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე დ.ღ.გ. – 10.80 (ათი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარი, ჯამში: 75.80 ლარი.

განმცხადებლის ნაცვლად მისივე თხოვნით

ხელს აწერს გია ცაავა გია ცაავა

მოწმე ირმა კარტოზია ი. კარტოზია

ნოტარიუსი ეკატერინე მარშანია